დევიდ ლინჩი ქართული სიმღერითა და კერძებით აღფრთოვანდა – „საქართველოში ჩამოსულმა ვიგრძენი, რომ აქ ხელოვნების სიყვარული ჰაერში ტრიალებს...“

ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი, დევიდ ლინჩი უკვე მესამე დღეა, საქართველოშია. ის თბილისში კიევიდან ჩამოფრინდა, სადაც თავისი ფონდის ეგიდით შეხვედრები გამართა. საქართველოში ის უკვე შეხვდა ქვეყნის მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელს, მათ შორის განათლებისა და კულტურის მინისტრებს და მათთან კინოსკოლის დაფუძნებაზე ისაუბრა. ლინჩი ასევე ეწვია ანსამბლ „ერისიონს“, მოისმინა ქართული სიმღერა და ნახა ცეკვა, რითაც აღფრთოვანებული დარჩა, ასევე ერთ-ერთ რესტორანში ქართული კერძებიც დააგემოვნა.

სანამ დღეს, „თბილისი მარიოტში“ დაგეგმილი პრესკონფერენცია დაიწყებოდა, უფრო სწორად, მისი ოფიციალური ნაწილი, მანამდე ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს სიამოვნებით გაუზიარა შთაბეჭდილებები, რაც მის საქართველოში სტუმრობას ახლავს.

კითხვაზე, იცოდა თუ არა რამე ქართულ კინემატოგრაფზე, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა, დევიდ ლინჩი აღნიშნავს:

„საქართველოში პირველად ვარ. მის კინემატოგრაფზე არანაირი ინფორმაცია არ მქონია, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების კინემატოგრაფზე. მაგრამ რაც აქ ჩამოვედი, შევიტყვე, რომ ფელინი ყველას ურჩევდა ქართული ფილმების ნახვას... ყველა ქვეყანას მოაქვს გარკვეული შეგრძნებები, როცა იქ ჩადიხარ. საქართველოში ჩამოსულმა ვიგრძენი, რომ აქ ჰაერში ტრიალებს ხელოვნებისადმი სიყვარული“.

DAVID LYNCH WAS FASCINATED BY GEORGIAN SINGING AND CUISINE – WHEN I ARRIVED IN GEORGIA, I FELT THAT THE LOVE OF ART IS IN THE AIR HERE…"

It's been three days since the famous American film director, scriptwriter and producer David Lynch is in Georgia. He arrived in Tbilisi from Kiev where he held meetings under the aegis of his foundation. He already met with several representatives of the Government of Georgia, including the Ministers of Culture and Education and spoke with them about establishment of the Film School. Lynch also visited the ensemble "Erisioni", listened to the Georgian singing and watched the Georgian dance performance. He was fascinated with it. He also tasted Georgian cuisine in one of the restaurants.

Before the beginning of the press-conference scheduled today at "Tbilisi Marriott", more precisely its official part, he shared his impressions with pleasure to the Georgian and foreign journalists that he has during his visit in Georgia.

On the question if he knew anything about Georgian cinema, David Lynch noted:

"I'm for the first time in Georgia. I didn't have any information about its cinema, as well as the cinema of other countries. But as I arrived here I found out that Fellini advised everyone to watch Georgian films… Every country invokes specific feelings when go there. When I arrived in Georgia I felt that love of art is in the air here."